საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 161/ს
11/04/2023

161-21-4-202304111042

ლენტეხის მუნიციპალიტეტი, მდინარე დევაშზე შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯის“ 5,45 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დევაში ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარე დევაშზე შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯის“ 5,45 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დევაში ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N5;
2. შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N5 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო